ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №445737

ნომერი: AR194244

თარიღი : 22.11.2012

გაცემის თარიღი : 27.11.2012

გაცნობის თარიღი : 28.11.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სტანისლავსკი , N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ფრიდონ მოდებაძე პ/ნ 18001005444
- სტანისლავსკის ქ. #5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია აივნის ამოშენება-შემინვა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: საპროექტო დავალებით გათვალისწინებული გაქვთ არსებული აივნის ნაწილობრივ ამოშენება/შემინვა და ვინაიდან ფასადზე ღიობების მოწყობით დარღვეული იქნება სამეზობლო მიჯნის ზონა (წითელი ხაზიდან ფანჯრის ღიობებამდე მანძილი არ შეადგენს 3,0 მეტრს), დაცული უნდა იყოს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები: მიჯნის მხარეს აივანი ამოშენდეს ყრუ კედლით ან მოეწყოს მინაბლოკი, ასევე შესაძლებელია წარმოადგინოთ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის, ნაკვეთი #01.13.05.003.048 მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, შ.პ.ს. "დიდუბე სიტი"–ს დირექტორის თანხმობა, მიჯნის ზონაში ღიობების მოწყობასთან დაკავშირებით. საჭიროებისამებრ აღნიშნული დოკუმენტი აიტვირთოს "დამატებითი დოკუმენტაციის " გრაფაში.

ამასთანავე, "ინფორმაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან" ველში – საკადასტრო ერთეულის დამატებაში, საკადასტრო კოდში მიუთითეთ სარეკონსტრუქციო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით ან „ფაილის მიმაგრების“ ველში ატვირთულ დოკუმენტთან ერთად დამატებით აიტვირთოს ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.